საქართველოს მთავრობის

განკარულება №1163

2016 წლის 17 ივნისი

ქ. თბილისი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტი 3 თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 30 000 (ოცდაათი ათასი) $მ^3$ საშენი მასალა (კირქვა, ღორღი) შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) სოფ. ზედა ალისუბნის მიმდებარე ტერიტორია – 7500 კბ.მ კირქვა (ღორღი):

№	X	Y
1	337896	4680840
2	337928	4680858
3	337951	4680803
4	337938	4680776
5	337904	4680782
S = 0.30ჰა		
WGS 1984;		

ბ) სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია – 15 000 კბ.მ ღორღი:

№	X	Y
1	322426	4678320
2	322431	4678294
3	322399	4678228
4	322368	4678187
5	322326	4678174
6	322343	4678197
7	322364	4678263
S = 0.52 ჰა		
WGS 1984;		

გ) სოფ. თავასას მიმდებარე ტერიტორია – 7500 კბ.მ ღორღი:

№	X	Y
1	342520	4682856
2	342596	4682798
3	342558	4682780
4	342532	4682790
5	342497	4682814
S = 0.36 ჰა		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – თერჯოლის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა და თერჯოლის მუნიციპალიტეტმა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობის თანხების გადახდა:

გ.ა) ზედა ალისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე – 7500 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი;

გ.ბ) სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორიაზე – 15 000 $მ^3$ ღორღის მოპოვებისათვის – 3 000 (სამი ათასი) ლარი;

გ.გ) სოფ. თავასას მიმდებარე ტერიტორიაზე – 7500 $მ^3$ ღორღის მოპოვებისათვის – 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტმა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**